სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება

28 დეკემბერი, 2023 წელი

შემსყიდველი: სსიპ „საქართველოს ეროვნული ბანკი“, აღმასრულებელი დირექტორის ვახტანგ ბურკიაშვილის სახით;
მისამართი: თბილისი, 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1;
საიდენტიფიკაციო კოდი: 203 824 148.

მიმწოდებელი: შპს „გრინ სისტემს“, დირექტორის დავით ზურაბიშვილის სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N75;
ელექტრონული ფოსტა და ტელეფონი: dzurabishvili@greennet.ge, +995322555700;
საიდენტიფიკაციო კოდი: 404862190;
საბანკო რეკვიზიტები: სს „ბაზის ბანკი“, ბანკის კოდი:CBASGE22, ა/ა: GE07BS0000000080136781

ერთის მხრივ შემსყიდველი და მეორეს მხრივ, მიმწოდებელი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადების ნომერი: NAT230024574) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ვებ კონფერენციისა და ონლაინ შეხვედრების სისტემის ლიცენზიების (შემდგომში „შესყიდვის ობიექტი“) (CPV კოდი: 72212900) შესყიდვა, დანართების N1, 2 და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
1.2. დანართები N1 და N2 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
2.2. ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ სებ–ის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი და სებ–ის შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი.
2.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

3.1. მიმწოდებელმა შემსყიდველისათვის შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განახორციელოს ერთიანად, ხელშეკრულების გაფორმებიდან, არაუგვიანეს 14 დღეში.
3.2. შესყიდვის ობიექტის ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
3.3. შესყიდვის ობიექტის მიღების შემდეგ ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
3.4. შემსყიდველი ვალდებულია დროულად აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული შესყიდვის ობიექტის და წუნდების მიზეზის მითითებით.

3.5. შემსყიდველის მხრიდან 3.2 პუნქტში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია სებ–ის შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი.

4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 86`000.00 (ოთხმოცდაექვსი ათასი) ლარს („ხელშეკრულების ფასი“).

4.2. ხელშეკრულების ფასი მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4.3. ხელშეკრულების 4.1. პუნქტში მითითებული ფასის გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

4.4. ანგარიშსწორება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 ქვეპუნქტის შესაბამისად შესყიდვის ობიექტის მიღებიდან და მიმწოდებელის მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან (იმისდამიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება) არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას მიწოდებული მატერიალურად და სამართლებრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას მიაწოდოს შემსყიდველს მატერიალურად და სამართლებრივად უნაკლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.

5.4. მიმწოდებელი პასუხისმგებელია შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი დოკუმენტის (ნებართვები, ავტორიზაცია და სხვა) მოპოვებაზე და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე.

5.5. მიმწოდებელს უფლება აქვს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის სანაცვლოდ მიიღოს მისიღირებულება.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 20%-ის ოდენობით.

6.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად ან დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

6.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

6.4. საჯარიმო სანქციების გადახდა შესაძლებელია მოხდეს მიმწოდებლისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

6.5. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,02%–ის ოდენობით.

6.6. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს არცერთ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.7. იმ შემთხვევაში, თუ 6.2 პუნქტში აღნიშნული ვადაგადაცილება მიაღწევს 30 დღეს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის მოტივით. ამ შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება 6.1 ან 6.3 პუნქტით გათვალისწინებული სანქციები.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

7.5. მხარე ვალდებულია 7.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

7.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8. კონფიდენციალურობა და ინფორმაციული უსაფრთხოება

8.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას დაიცვას ამ ხელშეკრულების ფარგლებში შემსყიდველის მხრიდან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

8.2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს ან გახადოს ხელმისაწვდომი ნებისმიერი ფორმით და ნებისმიერი სახით კონფიდენციალური ინფორმაცია მესამე პირებისათვის ან განიხილოს მესამე პირთან ასეთი კონფიდენციალური ინფორმაციის შინაარსი. მიმწოდებელს შეუძლია ასეთი კონფიდენციალური ინფორმაცია შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე გასცეს საკუთარ თანამშრომლებზე და მხოლოდ იმ თანამშრომლებზე და იმ მოცულობით, რაც საჭიროა მათი მხრიდან ფუნქციების შესასრულებლად.

8.3. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, ამ მუხლის შინაარსის თავისი თანამშრომლებისთვის გაცნობა და კონფიდენციალურობის მოთხოვნების მკაცრი დაცვა.

8.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მიაწოდოს კონფიდენციალური ინფორმაცია მის ქვეკონტრაქტორებს, რათა მათ შეასრულონ სამუშაოსთან დაკავშირებული ვალდებულებები. კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდებამდე ქვეკონტრაქტორებმა მიმწოდებელთან უნდა დადონ კონფიდენციალური ინფორმაციის არ გამჟღავნების შესახებ შეთანხმება, რომელიც შესაბამისობაში იქნება წინამდებარე მუხლთან.

8.5. ამ მუხლის 8.6 პუნქტის დაურღვევლად, წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც.

8.6. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ორივე მხარე შეთანხმდება ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შეწყვეტაზე, მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ ყველა ის კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც მათ მიიღეს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ან შეთანხმებით გაანადგურონ ის.

8.7. მომწოდებელი ვალდებულია დაიცვას შემსყიდველის შესახებ ინფორმაციასთან (შემდგომში: ინფორმაცია) დაკავშირებით ISO/IEC 27001 სტანდარტით განსაზღვრული, ქვემოთ მოცემული მოთხოვნები:

ა) მომწოდებელი ვალდებულია სებ-ის მიერ ელექტრონულ ფორმატში მიწოდებულ ინფორმაციაზე განახორციელოს ლოგიკური ან ფიზიკური წვდომის კონტროლი, რათა არ დაირღვეს ინფორმაციის კონფიდენციალობა, ხელმისაწვდომობა და მთლიანობა

ბ) მომწოდებელი ვალდებულია სებ-ის მიერ მატერიალური ფორმით მიწოდებული ინფორმაცია შეინახოს უსაფრთხოდ, რათა არ დაირღვეს ინფორმაციის კონფიდენციალობა, ხელმისაწვდომობა და მთლიანობა.

გ) მომწოდებელი ვალდებულია წინამდებარე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულებიდან უმოკლეს ვადებში, ელექტრონული ან/და მატერიალური სახით არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გაანადგუროს ისე, რომ არ მოხდეს მისი აღდგენა, რათა არ გახდეს ხელმისაწვდომი არაავტორიზებულ პირთათვის.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს სულ მცირე 30 დღის განმავლობაში მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულად შესრულების დღიდან, მაგრამ არაუგვიანეს 2024 წლის 31 იანვრისა.

12. ზოგადი დებულებები

12.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

12.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და დამოწმებულია მხარეთა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით/შტამპით.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შემსყიდველი

დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული მტკიცით
საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

2023.12.28
13:36:40 +04'00'

ვახტანგ ბურკიაშვილი
საქართველოს ეროვნული ბანკი
აღმასრულებელი დირექტორი

მიმწოდებელი

Green Systems LLC

Digitally signed by Green Systems LLC
Date: 2023.12.28 13:29:11 +04'00'

დავით ზურაბიშვილი
შპს „გრინ სისტემს“
დირექტორი

დანართი N1

ფასების ცხრილი

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის მწარმოებელი და ტექნიკური პარამეტრები	რაოდენობა (ცალი)	ფასი (ლარი)	
				ერთეული	საერთო
1	ვებ კონფერენციისა და ონლაინ შეხვედრების სისტემის ლიცენზიები	მწარმოებელი: CISCO მოდელი:A-FLEX-NUM-MC (NU Meetings -Meetings Center) დეტალური ტექნიკური მახასიათებლები იხილეთ დანართი N2	125	688.00	86`000.00
ჯამი					86`000.00

შემსყიდველი

ვახტანგ ბურკიაშვილი
საქართველოს ეროვნული ბანკი
აღმასრულებელი დირექტორი

მიმწოდებელი

Green Systems LLC
Digitally signed by Green Systems LLC
Date: 2023.12.28 13:30:01 +04'00'

დავით ზურაბიშვილი
შპს „გრინ სისტემს“
დირექტორი

დანართი N2

ვებ კონფერენციისა და ონლაინ შეხვედრების სისტემის ლიცენზიების დეტალური ტექნიკური მახასიათებლები:

- ლიცენზიის რაოდენობა: ვებ კონფერენციის 125 (ას ოცდახუთი) ცალი host ლიცენზია.
- ლიცენზიების ტიპი ე.წ. Named User (მომხმარებელზე მიბმული).
- ლიცენზიების მოქმედების ვადა შეადგენდეს 12 თვეს.
- ვებ კონფერენციის სისტემა წარმოადგენს ე.წ. ღრუბლოვან სერვისს. (cloud service).
- მონაწილეები ან მათი რაოდენობა არ საჭიროებს დამატებით ლიცენზიას. ლიცენზირდება მხოლოდ host უფლების მქონე მომხმარებელი.
- აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შესაძლებელია შემდეგი მოწყობილობებიდან:
    - კომპიუტერის გამოყენებით (Windows, MAC), სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფით ან/და ასევე ვებ ბრაუზერის საშუალებით.
    - პლანშეტებიდან და მობილური ტელეფონებიდან (Android, iOS), სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით.
    - სტანდარტული ვიდეო ტერმინალებიდან SIP ან H323 პროტოკოლის გამოყენებით.
    - თითოეულ შექმნილ კონფერენციას გააჩნია შესაბამისი SIP URI მისამართი, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერ თავსებად ვიდეო ტერმინალს (მოწყობილობას) აქვს კონფერენციაში დარეკვისა და მონაწილეების მიღების შესაძლებლობა. ასევე წინასწარ დაჯავშნილ კონფერენციას გააჩნია H323 IP მისამართი, H323 თავსებადი ვიდეო ტერმინალების მისაერთებლად.
- მონაწილეებს აქვთ აუდიო კავშირის დამყარების შესაძლებლობა, როგორც VoIP ტექნოლოგიის გამოყენებით (კომპიუტერი, პლანშეტი, მობილური მოწყობილობა), ასევე სატელეფონო ზარის განხორციელების საშუალებით.
- ერთი კონფერენციის ფარგლებში, სისტემას გააჩნია ერთდროულად 200 მონაწილის დაკავშირების შესაძლებლობა სრული ფუნქციონალით.
- კონფერენციაში მონაწილეობის დროს, მომხმარებლებს აქვთ თავიანთი ეკრანის სხვა მონაწილეებთან გაზიარების საშუალება.
- ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მონაწილეს შეუძლია სხვა მონაწილის (რომელიც ახორციელებს ეკრანის გაზიარებას) კომპიუტერის ეკრანზე კონტროლის მოთხოვნა და ეკრანის გამზიარებლის დადასტურების შემდეგ, მომთხოვნს აქვს მოშორებული ეკრანის კონტროლის (remote desktop control) საშუალება.
- გადაწყვეტილებას გააჩნია შემდეგი ფუნქციონალი:
    - კონფერენციაში მონაწილეების სრული სია;
    - კონფერენციის ჩაწერის ინდიკატორი;
    - კონფერენციის ჩაკეტვა/გახსნის (lock/unlock) შესაძლებლობა (მხოლოდ ჰოსტის უფლების მქონე მონაწილე);
    - მონაწილეებისთვის ხმის ჩართვა/გამორთვა (მხოლოდ ჰოსტის უფლების მქონე მონაწილე);
    - ე.წ. Lobby-ის ფუნქციონალი, სადაც შემოსული მონაწილეები იცდიან, სანამ ჰოსტის უფლებების მქონე მონაწილე მათ შემოუშვებს კონფერენციაში;
    - შემოსული მონაწილეების Lobby-ში, დაბრუნება (მხოლოდ ჰოსტის უფლების მქონე მონაწილე);
    - კონფერენციაზე დასწრების პაროლით შეზღუდვის უფლება;

- კონფერენციის ჩაწერა (მხოლოდ ჰოსტის უფლების მქონე მონაწილე);
- ჰოსტის ან პრეზენტატორის უფლების გადაცემა სხვა აქტიური მონაწილეებისთვის (მხოლოდ ჰოსტის უფლების მქონე მონაწილე);
- ფაილების გადაგზავნა;
- მონაწილეების ჯგუფებად დაყოფის (ე.წ. room-ების) შესაძლებლობა;
- შესაძლებელია კონფერენციის ე.წ. ლაივ სტრიმინგი ისეთ პლატფორმებში როგორიც არის Facebook Live და ასევე სხვა ღრუბლოვან სერვისებში, რომლებსაც გააჩნიათ სტანდარტული RTMP პროტოკოლის მხარდაჭერა (მხოლოდ ჰოსტის უფლების მქონე მონაწილე);
- შეხვედრის ორგანიზება Microsoft Outlook-ის საშუალებით (ინტეგრაცია);
- ვირტუალური ფონების მხარდაჭერა (Virtual Background);
- კომპიუტერიდან და ვიდეო ტერმინალიდან მონაწილეობის შემთხვევაში, ეკრანზე მონაწილეების ვიდეო გამოსახულების განლაგების შემდეგი ტიპების მხარდაჭერა: Active Speaker, Active Speaker and Thumbnail, Grid;
- 2 ვიდეო ხარისხის მხარდაჭერა: High-Quality Video (360p) და High-Definition Video (720p);
- კონფერენციის დროს მულტიმედიური ქონთენთის გაზიარების საშუალება სხვა მონაწილეებთან;
- კონფერენციაში ჩატის მხარდაჭერა;
- კონფერენციაში ე.წ. გამოკითხვის (polling) მხარდაჭერა (მხოლოდ ჰოსტის უფლების მქონე მონაწილე);
- მონაწილეებისთვის ვიდეოს ჩართვის უფლების ჩამორთმევის საშუალება (მხოლოდ ჰოსტის უფლების მქონე მონაწილე);
- შესაძლებელია კონფერენციების ჩაწერა და ჩანაწერების შენახვა ხორციელდება ღრუბელოვან სერვისში, ან მომხმარებლის ლოკალურ კომპიუტერში. ჩანაწერები ღრუბელში (cloud) ინახება MP4 ფორმატში.
- შემოთავაზებაში გათვალისწინებულია 1 (ერთი) GB ზომის ღრუბლოვანი საცავი (cloud storage) კონფერენციების ჩანაწერების შესანახად;
- ჩანაწერების ღრუბლოვანი სანახიდან ჩამოტვირთვის საშუალება;
- ღრუბლოვან სანახში შენახული მონაცემები დაშიფრულია;
- End-to-End encryption მხარდაჭერა.

შემსყიდველი

ვახტანგ ბურკიაშვილი
საქართველოს ეროვნული ბანკი
აღმასრულებელი დირექტორი

მიმწოდებელი

Green Systems LLC
Digitally signed by Green Systems LLC
Date: 2023.12.28 13:30:24 +04'00'

დავით ზურაბიშვილი
შპს „გრინ სისტემს“
დირექტორი